საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავიძბა ხუტა ტუკანის ძე

ხ. ავიძბა შემოდგომა აფხაზეთში 1985

ავიძბა ხუტა ტუკანის ძე (დ. 5. VI. 1932, სოფ. ზემო ეშერა, სოხუმის რ-ნი - გ. 2013, სოხუმი), აფხაზი ფერმწერი. საქართვ. (1971) და აფხ. (1986) დამს. მხატვარი.

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963, კ. სანაძის კლასი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1964-იდან. ძირითადი ნამუშევრები: „სოხუმი საღამოჟამს“ (1966, საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი), „შემოდგომის პეიზაჟი“ (1958), „დღესასწაული სოფლად“ (1976), „დ. გულიას პორტრეტი“ (1975), „განთიადისას“ (1984), „ბზიფის ნაპირზე“ (1987, ყველა – სოხუმის სურათების გალერეა) და სხვ.